

ამოცანები, რომლებიც 2 ბალით ფასდება



1) ავთოს ჰქონდა 25 ლარი. მან შეიძინა 3,2 ლარიანი წიგნი, 0,6 ლარიანი 5 რვეული, 1,4 ლარიანი 3 კალამი და 11,5 ლარიანი ჩანთა. რა თანხა დარჩა ავთოს?

- 1) 4 ლარი და 1 თეთრი 2) 4 ლარი და 10 თეთრი
3) 3 ლარი და 1 თეთრი 4) 3 ლარი და 10 თეთრი

2) თუ წრეწირის რადიუსი 3,7 სანტიმეტრია, მაშინ ქვემოთ მოცემული ვარიანტებიდან რამდენი სანტიმეტრი არ შეიძლება იყოს ამ წრეწირის ქორდა?

- 1) 2 სმ 2) 3,7 სმ 3) 7,4 სმ 4) 8 სმ

3) ქვემოთ მოცემული, რომელი წილადის შეკვეცის შედეგად მიიღება $\frac{1}{3}$?

- 1) $\frac{6}{9}$ 2) $\frac{17}{51}$ 3) $\frac{3}{27}$ 4) $\frac{101}{103}$

4) რამდენი სიმეტრიის ღერძი აქვს კვადრატს?

- 1) ერთი 2) ორი 3) ოთხი 4) რვა

5) 13-ის ჯერადი რამდენი ორნიშნა რიცხვი არსებობს, რომელიც უნაშთოდ იყოფა 3-ზე?

- 1) ერთი 2) ორი 3) სამი 4) არცერთი

ამოცანები, რომლებიც 3 ბალით ფასდება



6) რამდენი კენტი გამყოფი აქვს 120-ს?

- 1) ორი 2) სამი 3) ოთხი 4) ხუთი

7) რომელ თანრიგამდე უნდა დავამრგვალოთ 19467, რომ დამრგვალებული რიცხვი უნაშთოდ გაიყოს სამზე და ოთხზე?

- 1) ათეულებამდე 2) ასეულებამდე 3) ათასეულებამდე 4) ათიათასეულებამდე

8) რას უდრის 30-ზე ნაკლები ყველა მარტივი რიცხვის ჯამი?

- 1) 129-ს 2) 130-ს 3) 138-ს 4) 156-ს

9) რამდენი წიბო აქვს პირამიდას, რომელსაც 7 წახნაგი და 7 წვერო აქვს?

- 1) 10 2) 12 3) 14 4) ამის გაგება შეუძლებელია

10) ავტომანქანამ უცვლელი სიჩქარით მოძრაობისას 10 წუთში 15 კილომეტრი გაიარა. რა სიჩქარით მოძრაობდა ავტომანქანა?

- 1) 15 კმ/სთ 2) 150 კმ/სთ 3) 60 კმ/სთ 4) 90 კმ/სთ

ამოცანები, რომლებიც 5 ბალით ფასდება



11) რამდენი საერთო გამყოფი აქვს 120-სა და 180-ს, ისეთი რომელიც ნულით ბოლოვდება?

- 1) ცხრა 2) ექვსი 3) ოთხი 4) სამი

12) საზამთროს მოაჭრეს დიდი ნაჭერი, რომელიც 3 კგ და 200 გ-ს იწონის. ნახევარი საზამთროს რა ნაწილს შეადგენს მოჭრილი ნაჭერი, თუ საზამთროს მეექვსედი ნაწილი იწონის 6 კგ და 400 გ-ს?

- 1) $\frac{1}{2}$ ნაწილს 2) $\frac{1}{6}$ ნაწილს 3) $\frac{1}{8}$ ნაწილს 4) $\frac{1}{12}$ ნაწილს

13) თედოს 240 კილოგრამი ყურძენი ჰქონდა დასაწური. დილით მან დასაწური ყურძნის $\frac{1}{4}$ ნაწილი დაწურა. რამდენჯერ ნაკლებია დაწურული ყურძნის რაოდენობა დასაწურად დარჩენილი ყურძნის რაოდენობაზე?

- 1) ხუთჯერ 2) ოთხჯერ 3) სამჯერ 4) ორჯერ

14) შორენა ორშაბათს, სამშაბათს და შაბათს ამბობს მხოლოდ ტყუილს, ოთხშაბათს – შეიძლება თქვას სიმართლე, შეიძლება თქვას ტყუილი. დანარჩენ დღეებში იგი ამბობს მხოლოდ სიმართლეს. რა დღეა დღეს, თუ ცნობილია, რომ დღეს შორენამ თქვა ტყუილი, ხვალ იტყვის სიმართლეს, ზეგ კი ისევ იტყვის ტყუილს?

- 1) ორშაბათი 2) სამშაბათი 3) ოთხშაბათი 4) შაბათი

15) თეატრში მყოფ მაყურებელთა მეოთხედი მეტია 10-ზე, მესამედი კი ნაკლებია 20-ზე. რამდენი მაყურებელია თეატრში?

- 1) 36 2) 48 3) 60 4) 72

ამოცანები, რომლებიც 7 ბალით ფასდება



16) მათემატიკური კონკურსის პირველ ტურში მიშას ამოსახსნელი ჰქონდა 12 ამოცანა, მეორე ტურში – 16, მესამე ტურში კი – 20. იმისათვის, რომ მიშამ მიიღოს სიგელი, მას უნდა ამოეხსნა სამივე ტურში ამოსახსნელი ამოცანების საერთო რაოდენობის $\frac{3}{4}$ -ზე მეტი. სიგელის მისაღებად სულ მცირე რამდენი ამოცანა უნდა ამოეხსნა მიშას მესამე ტურში, თუ მან პირველ ტურში ამოხსნა 10 ამოცანა, მეორეში კი – 12?

- 1) 14 ამოცანა 2) 15 ამოცანა 3) 17 ამოცანა 4) 20 ამოცანა

17) ველოსიპედისტმა, რომელიც 25 კმ/სთ უცვლელი სიჩქარით მოძრაობდა, A პუნქტიდან B პუნქტში ჩასვლას და უკან A პუნქტში დაბრუნებას 5 საათი მოანდომა. რა დროს მოანდომებს ქვეითი A პუნქტიდან B პუნქტში ჩასვლას, თუ იგი 5 კმ/სთ უცვლელი სიჩქარით ივლის?


- 1) 10 სთ და 30 წთ 2) 12 სთ და 30 წთ 3) 25 სთ 4) 50 სთ

18) სკოლაში 360 მოსწავლე სწავლობს. მათი $\frac{5}{9}$ გოგონაა. სასწავლო წლის ბოლოს ბიჭების $\frac{3}{8}$ -ს ყველა საგანში ათიანი გამოყვა. ათოსანი ბიჭების რაოდენობა ათოსანი გოგონების რაოდენობის მესამედს შეადგენს. რამდენი ათოსანი გოგონაა სკოლაში?

- 1) 20 2) 60 3) 160 4) 180

19) გაფერადებული სამკუთხედის ფართობია 32 სმ². რას უდრის ABCD კვადრატის გვერდის სიგრძე?

- 1) 8 სმ 2) 16 სმ
3) 24 სმ 4) ამის გაგება შეუძლებელია



ამოცანები, რომლებიც 8 ბალით ფასდება



20) ორ თაროზე ერთად 108 წიგნი იდო. როცა მეორე თაროდან 16 წიგნი პირველ თაროზე გადადეს, მეორე თაროზე 3-ჯერ ნაკლები წიგნი აღმოჩნდა, ვიდრე ორივე თაროზე ერთად. რამდენი წიგნი იდო მეორე თაროზე თავდაპირველად?

- 1) 27 2) 36 3) 43 4) 52

21) მოგზაურმა 2,4 საათში $2\frac{4}{25}$ კილომეტრი გაიარა. საშუალოდ რამდენ მეტრს გადიოდა მოგზაური წუთში?

- 1) 15 მეტრს 2) 16 მეტრს 3) 17 მეტრს 4) 18 მეტრს

22) დაფაზე წერია წილადი რიცხვი. თუ ამ წილადის მრიცხველს გავზრდით 8-ჯერ, ხოლო მნიშვნელს გავზრდით იმდენჯერ, რამდენიც არის მრიცხველი, მაშინ მიღებული წილადის მნიშვნელობა 2-ის ტოლი იქნება. რას უდრის დაფაზე დაწერილი წილადის მნიშვნელი?

- 1) რვას 2) ოთხს 3) ორს 4) ამის გაგება შეუძლებელია

23) მოგზაურმა გასავლელი გზის პირველი ნახევარი უცვლელი სიჩქარით ორ საათში გაიარა. ამის შემდეგ, 1 საათის განმავლობაში, თავდაპირველზე 2-ჯერ ნაკლები სიჩქარით იარა, დარჩენილ გზაზე კი მან თავდაპირველზე 2-ჯერ მეტი სიჩქარით იმოძრავა. გზის რომელი ნახევარი უფრო სწრაფად გაიარა მოგზაურმა: პირველი თუ მეორე?

- 1) პირველი 2) მეორე 3) ერთნაირ დროში 4) ამის გაგება შეუძლებელია

ამოცანები, რომლებიც 10 ბალით ფასდება



24) გვაქვს 15 კოლოფი ასანთი. თხუთმეტივე კოლოფში ერთად 50 ღერი დევს. ცნობილია, რომ არცერთ კოლოფში არ დევს ოთხზე მეტი ღერი და არცერთი კოლოფი არ არის ცარიელი. მინიმუმ რამდენ კოლოფში შეიძლება იდოს 4 ღერი?

- 1) ერთ კოლოფში 2) ხუთ კოლოფში 3) სამ კოლოფში 4) შვიდ კოლოფში

25) ლაფაზე წერია ორი რიცხვი. ერთი რიცხვი მეორეზე 2-ჯერ დიდია. თუ დიდ რიცხვს გამოვაკლებთ მის $\frac{3}{4}$ -ს, ხოლო პატარა რიცხვს გამოვაკლებთ 8-ს, მაშინ მიღებული რიცხვები ერთმანეთის ტოლი იქნება. რისი ტოლია დიდი რიცხვი?

- 1) 8-ის 2) 16-ის 3) 32-ის 4) 64-ის

26) რეზინის ზონარზე ჩამოკიდებულია წყლით სავსე ბოთლი. ბოთლიდან წყლის ნაწილის გადაღვრის შემდეგ ზონარის სიგრძე შემცირდა $\frac{1}{4}$ ნაწილით. რა ნაწილით გაიზრდება ზონარის ახლანდელი სიგრძე, თუ ბოთლში დავაბრუნებთ გადაღვრილ წყალს?

- 1) $\frac{1}{2}$ 2) $\frac{1}{3}$ 3) $\frac{1}{4}$ 4) ამის გაგება შეუძლებელია

27) პირველ ყუთში 20 ბურთი დევს. მეორე ყუთში 2-ჯერ ნაკლები ბურთი დევს, ვიდრე პირველ და მესამე ყუთებში ერთად, ხოლო მესამე ყუთში 3-ჯერ ნაკლები ბურთი დევს, ვიდრე პირველ და მეორე ყუთებში ერთად. რამდენი ბურთი დევს მეორე ყუთში?

- 1) 10 ბურთი 2) 12 ბურთი 3) 16 ბურთი 4) 22 ბურთი

28) ყუთი, რომელშიც თავლით სავსე სამი ქილა დევს, 10 კგ-ს და 100 გ-ს იწონის. თუ ყუთიდან ამოვიღებთ თავლით სავსე ერთ ქილას, მაშინ ყუთის წონა 6 კგ და 900 გ იქნება, ხოლო თუ ერთი ქილიდან თავლს მთლიანად გადმოვასხამთ და ქილას უკან ყუთში დავაბრუნებთ, მაშინ ყუთის წონა 8 კგ და 100 გ იქნება. რას იწონის ყუთი სამ ცარიელ ქილასთან ერთად?

- 1) 4 კგ და 600 გ 2) 4 კგ და 100 გ 3) 3 კგ და 600 გ 4) 3 კგ და 100 გ

29) მოცემულია 3 რიცხვი. ერთი რიცხვის $\frac{2}{3}$ მეორე რიცხვის $\frac{1}{2}$ -ის ტოლია, მეორე რიცხვის $\frac{1}{4}$ მესამე რიცხვის $\frac{1}{3}$ -ის ტოლია. რომელი რიცხვია მეტი – პირველი, თუ მესამე?

- 1) პირველი 2) მესამე 3) ტოლია 4) ამის გაგება შეუძლებელია

30) დიდი კვადრატს გაჭრეს ორ პატარა კვადრატად და ერთ მართკუთხედად. რას უდრის მიღებული მართკუთხედის პერიმეტრი, თუ პატარა კვადრატის პერიმეტრი 60 სანტიმეტრია?

- 1) 120 სმ 2) 90 სმ 3) 45 სმ 4) ამის გაგება შეუძლებელია

31) ყუთიდან ამოიღეს მასში არსებული ვაშლების $\frac{2}{3}$ ნაწილი. თუ 2 ვაშლს ყუთში დააბრუნებენ, მაშინ ყუთში აღმოჩნდება ვაშლების თავდაპირველი რაოდენობის ნახევარი. რამდენი ვაშლი ამოუღიათ ყუთიდან?

- 1) 4 ვაშლი 2) 6 ვაშლი 3) 8 ვაშლი 4) 12 ვაშლი

32) გზის მოასფალტება ბრიგადამ სამ დღეში დაასრულა. პირველ დღეს ბრიგადამ მთელი გზის $\frac{1}{3}$ ნაწილი მოასფალტა, მეორე დღეს – 9 კილომეტრი, ხოლო მესამე დღეს – იმის ნახევარი, რაც პირველ დღეს. რამდენი კილომეტრი მოასფალტა ბრიგადამ მესამე დღეს?

- 1) 3 კმ 2) 7 კმ 3) 9 კმ 4) 18 კმ